ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 03

2024 წელი 23 თებერვალი

ქ. ბაღდათი

11:00 საათი

2024 წლის 23 თებერვალს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ნოდარ გიორგიძე გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე, თეა გოგნაძე, ბიძინა ჯაბიძე, კახა კოხოძე, ალექსანდრე ფახურიძე, იოსებ კვირიკაშვილი, ირინა ტყეშელაშვილი, თორნიკე გაჩეჩილაძემ, სიმონ ჭოლოკავა, მაია კბილაშვილი, გიორგი კოტორეიშვილი, მურად ბურჯანაძე, ზვიად გუმბერიძე, გვანცა გრძელიძე, გურამ ჩხეიძე, ნინო ფურცელაძე, ზაზა ზივზივაძე, ჯუმბერ რობაქიძე, შალვა მშვილდაძე, ნინო კვირიკაძე, ირაკლი გოგსაძე, მაკა მესხი, დიომიდე კიკნაველიძე.

სულ: 25 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: ვლადიმერ წიქორიძე, შადიმან გორგოძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

კახა ენუქიძე - მუნიციპალიტეტის მერი;

მერაბ ზირაქაძე -მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

ქეთევან კარკაძე-მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ანტონ ქარაბაკი - მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;

ვლადიმერ მელაძე - მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი.

მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის უფროსები.

ამბერკი რობაქიძე -ა(ა)იპ - ბარათის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და სერვისების გაერთიანება", ხელმძღვანელი.

თამთა ჯიხვაძე - საქართველოს პარლამენტის წევრის ბეჟან წაქაძის ბიუროს თანამშრომელი.

პრესის წარმომადგენლები (ჩემი გაზეთი)

საკრებულოს აპარატი:

ნოდარ ებანოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ირინე აბაიშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25 საკრებულოს წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარ გიორგიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე. რომელმაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგი

1.ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში: „ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. კახა ენუქიძე- მუნიციპალიტეტის მერი

კახა გოგნაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

2.ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“.

მომხს. ანტონ ქარაბაკი - მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის დიმის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ დიმში 41-ე ქუჩისათვის სახელის მინიჭების შესახებ.

მომხს. გვანცა გრძელიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებისა და მგზავრობის ტარიფის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ნატო ნატრიაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი.

5. ბაღდათის მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს. „ჯი-თი- გრუპ“- ს შორის 2023 წლის 07 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების (სახელმწიფო შესყდვების შესახებ) N160 საფუძველზე ბაღდათის მუნიციპალიტეტზე საკუთრების უფლებით გადმოცემული 2 (ორი) ერთეული ავტობუსის (მარკა- ISUZU, მოდელი-NOVOGITI, სახ. N TF 612 TF, მარკა- ISUZU, მოდელი-NOVOGITI, სახ. N TF 613 TF,) “ ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანებისათვის „ უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით ,გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ქეთევან კარკაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი მიღებული იქნა.

მომხრე - 25 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში: „ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე ანგარიში წარმოადგინა, მუნიციპალიტეტის მერმა - კახა ენუქიძემ.

აზრი გამოთქვეს: მაია კბილაშვილმა, ირინა ტყეშელაშვილმა, გია სახამბერიძემ, ნოდარ გიორგიძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N4 განკარგულება:გ-67.6724054001 თარიღი:23/02/2024 (განკარგულება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 18 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“.

2023 წელში მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებზე ანგარიში წარმოადგინა, ანტონ ქარაბაკმა - მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

აზრი გამოთქვეს: ბიძინა ჯაბიძემ, ირაკლი გოგსაძემ, გვანცა გრძელიძემ, კახა ენუქიძემ, ნოდარ გიორგიძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომაზე განხილვის შესახებ ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ, მურად ბურჯანაძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ, ცნობათ მიიღო ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის დიმის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ დიმში 41-ე ქუჩისათვის სახელის მინიჭების შესახებ.

განკარგულების პროექტი მოწონებაზე საკრებულოს სხდომას წარუდგინა, გვანცა გრძელიძემ - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N5 განკარგულება:გ-67.67240542 თარიღი:23/02/2024 (განკარგულება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 24 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებისა და მგზავრობის ტარიფის განსაზღვრის შესახებ.
დადგენილების პროექტი საკრებულოს სხდომას წარუდგინა: ნატო ნატრიაშვილმა - მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი.
აზრი გამოთქვეს: კახა ენუქიძემ, გია სახამბერიძემ, თორნიკე გაჩეჩილაძემ, მაია კბილაშვილმა, სიმონ ჭოლოკავამ, ნოდარ გიორგიძემ.
დადგენილების პროექტის იურდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიაზე განხილვის შესახებ საკრებულოს სხდომას მოახსენა, ამავე კომისიის თავმჯდომარემ გვანცა გრძელიძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:
დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N5 დადგენილება:დ-67.6724054001 თარიღი:23/02/2024 (დადგენილება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 24 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 5. ბაღდათის მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს. „ჯი-თი- გრუპ“- ს შორის 2023 წლის 07 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების (სახელმწიფო შესყდვების შესახებ) N160 საფუძველზე ბაღდათის მუნიციპალიტეტზე საკუთრების უფლებით გადმოცემული 2 (ორი) ერთეული ავტობუსის (მარკა- ISUZU, მოდელი-NOVOGITI, სახ. N TF 612 TF, მარკა- ISUZU, მოდელი-NOVOGITI, სახ. N TF 613 TF,) “ ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანებისათვის „ უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით ,გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

განკარგულების პროექტი ავტომანქანების გადაცემის თაობაზე საკრებულოს სხდომას წარუდგინა, ქეთევან კარკაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა წარმოადგინა: თორნიკე გაჩეჩილაძემ- მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N6 განკარგულება:გ-67.67240543 თარიღი:23/02/2024 (განკარგულება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 24 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: ნოდარ გიორგიძე